მე-5 კლასი

რიცხვთა თეორია

1. ლუწი ციფრებით ჩაწერილი ორნიშნა რიცხვებიდან რომელია ყველაზე პატარა?
   A. 10 B. 20 C. 22

2. ქვემოთ მოცემული რიცხვებიდან რომელი იყოფა მის ციფრთა ჯამზე?
   A. 174 B. 303 C. 230

არითმეტიკა

3. ჩამოთვლილი რიცხვებიდან: 3, 5, 6, 7, 10, 13, 26 რამდენი მათგანი უნდა შევკრიბოთ, რომ ჯამი იყოს 40?
   A. 3 B. 4 C. 5

4. რა ეღირება ხუთი ფუნთუშა, თუ სამი ფუნთუშა 3 ლარი ღირს?
   A. 500 თეთრი B. 300 თეთრი C. 450 თეთრი

5. ბოთლში 720გ ღვინო ეტევა, ჭიქაში - 200გ. რამდენი ჭიქა გაივსება 3 გავსებული ბოთლი ღვინით?
   A. 8 B. 9 C. 10

შედარება

6. რომელია მეტი: უდიდესი და უმცირესი კენტი ორნიშნა რიცხვების ჯამი, თუ უდიდესი და უმცირესი ლუწი ორნიშნა რიცხვების ჯამი?
   A. ლუწების ჯამი B. კენტების ჯამი C. თანაბარია

7. წიგნის ფასი ჯერ სამჯერ გაძვირდა და შემდეგ სამი ლარით გაიაფდა. თავდაპირველად უფრო ძვირი ღირდა, თუ ახლა უფრო ძვირი ღირს?
   A. თავდაპირველად B. ახლა C. ვერ დავადგენთ

8. რომელია მეტი: 3-ით დაბოლოებული ორნიშნა რიცხვების რაოდენობა, თუ 3-ით დაწყებული ორნიშნა რიცხვების რაოდენობა?
   A. 3-ით დაწყებული B. 3-ით დაბოლოებული C. თანაბარია

ლოგიკა

9. ვანოს გიგაზე 3-ით მეტი ვაშლი აქვს. რამდენი ვაშლი უნდა მისცეს ვანომ გიგას, რომ ახლა გიგას ჰქონდეს ვანოზე 5-ით მეტი ვაშლი?
   A. 3 B. 4 C. 5

10. მწკრივში ამოწერილი იყო რიცხვები 1, 2, 3, ...,30 (1-დან 30-ის ჩათვლით). მათ ქვეშ მიუწერეს იგივე რიცხვები შებრუნებული თანმიმდევრობით. რა რიცხვი ეწერება 13-ის ქვეშ?
    A. 12 B. 15 C. 18